# შემნახველი ბარათის პირობები

1. განაცხადში შესაბამისი ნების გამოვლენის შემთხვევაში, შემნახველი ბარათით სარგებლობა და აღნიშნულ ბარათთან დაკავშირებულ საბანკო ანგარიშზე [შემდგომ „საბარათე ანგარიში"] არსებული სახსრების განკარგვა/მხარეთა უფლება-მოვალეობები, დამატებით რეგულირდება წინამდებარე პირობებით.
2. კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ:
   a. საბარათე ანგარიში არ წარმოადგენს სადეპოზიტო ანგარიშს და მასზე განთავსებულ სახსრებზე სრულად ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო-სამართლებრივი ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვები ან/და ინკასო.
   b. საბარათე ანგარიშზე არსებულ სახსრებს საპროცენტო სარგებელი ერიცხება ყოველი კალენდარული თვის ბოლოს. სარგებლის დაანგარიშება ხორციელდება ყოველდღიური ნაშთის მიხედვით, 365 დღეზე გაანგარიშებით. დარიცხული პროცენტის შესაბამისი თანხა ასევე აისახება საბარათე ანგარიშზე.
   c. დარიცხული სარგებლის თანხიდან ბანკის მიერ გამოიქვითება მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
   d. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს საბარათე ანგარიშზე არსებულ სახსრებზე დასარიცხი საპროცენტო სარგებლის განაკვეთი და აღნიშნულის შესახებ კლიენტისათვის შეტყობინების ვალდებულება არ ეკისრება, ტარიფები შეცვლილი სახით განთავსდება საიტზე www.vtb.ge.
   e. საბარათე ანგარიშზე არსებული სახსრების განკარგვა შესაძლებელია მხოლოდ ნაღდი სახით მიღების გზით: ბანკომატით ან ბანკის გაყიდვის წერტილში განაღდებით.
   f. საბარათე ანგარიშიდან ან/და ბარათით/ბარათის რეკვიზიტების გამოყენებით დაუშვებელია უნაღდო ანგარიშსწორება/გადახდები, მათ შორის თანხების გადარიცხვა, ტრანზაქციები სავაჭრო და მომსახურების ობიექტების ტერმინალებით, გადახდები საერთაშორისო ან ლოკალური საგადამხდელო სისტემის გამოყენებით.
3. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პირობები და შეცვლილი სახით განათავსოს საიტზე www.vtb.ge. ცვლილებები სრული მოცულობით ვრცელდება კლიენტზე და მისთვის ატარებს შესასრულებლად სავალდებულო ძალას.
4. ბანკი უფლებამოსილია უაქცეპტოდ ჩამოჭრას კლიენტის საბარათე ანგარიშიდან ბარათის მომსახურების და ტარიფებით განსაზღვრული სხვა საკომისიო, ასევე თანხები „საბანკო ანგარიშით მომსახურების ძირითადი პირობებით" განსაზღვრულ შემთხვევაში და წესით.
5. ყველა საკითხი, რომელიც სპეციალურად არ არის განსაზღვრული წინამდებარე პირობებით, რეგულირდება „საბანკო ანგარიშით მომსახურების ძირითადი პირობებით" წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული შეზღუდვების/ დათქმების გათვალისწინებით.
6. ნებისმიერი დავა, გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან და მასთან დაკავშირებული აქცესორული ხელშეკრულებებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან [მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან], ასევე წინამდებარე

პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები, განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატას" [საიდენტიფიკაციო N205267389], რომლის იურისდიქციას მხარეები აღიარებენ ანულირების გარეშე. აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს განიხილავს თავისი დებულებით დადგენილი წესით.

7. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, განიხილავს არბიტრაჟი ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით. არბიტრებს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟი. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას. მხარეები დამატებით იღებენ ვალდებულებას მისამართის ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში აცნობონ იგი არბიტრაჟს, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ კორესპონდენცია გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისამართის მიხედვით და კორესპონდენცია [მათ შორის გზავნილი, გარკვეულ საარბიტრაჟო მოქმედებათა შესახებ შეტყობინება, განკარგულება, გადაწყვეტილება და ა. შ.] ჩაითვლება ჩაბარებულად [შესაბამისი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით].